ხაშურის მოამბე

№24 (306) 2 აგვისტო, ორშაბათი, 2021 წელი

სამუშაო შეხვედრა საჯარო რეესტრის წარმომადგენლებთან

ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის წარმომადგენლებმა სამუშაო შეხვედრა გამართეს. მიზანი,„მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის და იუსტიციის მინისტრის №150 ბრძანებით დამტკიცებული დათვალიერების ოქმის დეტალურად განხილვა და საკითხების დაზუსტება იყო.

შეხვედრას ესწრებოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი ზვიად ქურდაძე, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი დავით კიკნაძე, იურიდიული სამსახურის უფროსი დავით ღვალაძე, მერის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების ხელმძღვანელი ივანე ლოლაძე, ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლები და მუნიციპალიტეტის სხვა თანამშრომლები.

როგორ უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, როგორია საკარმიდამო ან/და საოჯახო მეურნეობის მოსაწყობად გაცემულ მიწის ნაკვეთზე ცნობის მომზადების ვადები, ვინ არის ადგილზე დათვალიერებაზე უფლებამოსილი პირი, რა შემთხვევაში შეიძლება საკარმიდამო ან/და საოჯახო მეურნეობის მოსაწყობად გაცემულ მიწის ნაკვეთზე ცნობის გაცემაზე უარის თქმა - სწორედ ამ და სხვა კითხვების დამუშავება ხდებოდა შეხვედრაზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს ის კრიტერიუმები რასაც სახელმწიფო ადგენს მიწის რეფორმის პროექტის ფარგლებში.

რკინიგზელთა შრომითი ანაზღაურება იზრდება

კიდევ, ერთი სასიამოვნო შეთანხმება შედგა „საქართველოს რკინიგზა“-სა და „საქართველოს რკინიგზელთა პროფესიულ კავშირს“ შორის.

საქართველოს რკინიგზელთა პროფესიული კავშირის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, რკინიგზაზე დასაქმებულთა შრომის ადეკვატური და ღირსეული ანაზღაურების უზრუნველყოფის მიზნით, მიმდინარე წლის 5 ივლისს დაიწყო ერთობლივი მოლაპარაკებები, სადაც

განხილულ იქნა ხელფასების მატების ყველა შესაძლო ალტერნატივა და პერსპექტივა.

მოლაპარაკებების შედეგად, მიღწეული შეთანხმების შესაბამისად, საქართველოს რკინიგზაზე ყველა დასაქმებულს, სექტემბრის თვიდან, სახელფასო ანაზღაურება 150 ლარით (ხელზე ასაღები) გაეზრდება, რაც წლის ჭრილში დაახლოებით 29 000 000 (ოცდაცხრა მილიონი) ლარს შეადგენს.

აგეთვე, დასაქმებულთა მოთხოვნის საფუძველზე, საგიორგობოდ განკუთვნილი ფულადი საჩუქარი (200 ლარი), ნაცვლად 23 ნოემბრისა გაიცემა დეკემბრის თვეში, წინა საახალწლოდ.

საქართველოს რკინიგზელთა პროფესიული კავშირი
TRADE UNION OF GEORGIAN RAILWAYMAN

GR საქართველოს რკინიგზა 1872-დან

სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის თანადაფინანსების პროგრამა იწყება!

პროგრამა ყველა ტიპის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსებას მოიცავს.

პროგრამით დადგენილი პირობით, შესასყიდი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, უნდა იყოს ახალი, ექსპლუატაციაში არმყოფი.

თანადაფინანსების მოცულობა ჯამურად ერთ ბენეფიციარზე განისაზღვარა შემდეგი პირობით.

თუ შესასყიდი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ღირებულება შეადგენს 20,000 ლარამდე თანხას, თანადაფინანსება შეადგენს სასოფლო - სამეურნეო ტექნიკის ღირებულების 35%-ს;

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის 20,000 - ლარიდან 100,000 ლარამდე ღირებულების შემთხვევაში თანადაფინანსება შეადგენს ღირებულების 35% -ს;

თუ შესასყიდი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ღირებულება შეადგენს არანაკლებ 100,000 ლარს თანადაფინანსება განისაზღვრა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ღირებულების 30%, მაგრამ არაუმეტეს 70,000 ლარისა.

ამავე პირობებით დაფინანსდება 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკისა და სერვისების კომპანიისგან“ სასოფლო - სამეურნეო ტექნიკის, მათ შორის კომბაინების შესყიდვა.

პროგრამის ფარგლებში განაცხადები მიიღება 2021 წლის სექტემბრიდან, ელექტრონული ფორმით. პოტენციური ბენეფიციარების განაცხადების განხილვა განხორციელდება წარმოდგენილი განაცხადების რიგითობის შესაბამისად.

დეტალური ინფორმაცია პროგრამის შესახებ აგვისტოს თვეში იქნება ხელმისაწვდომი ვებგვერდზე www.rda.gov.ge

საქართველოს მთავრობის დადგენილება #375

2021 წლის 26 ივლისი, ქ. თბილისი

სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2021 წლის საშემოდგომო გაწვევის შესახებ

მუხლი 1

„სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლისა და „სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა ორგანიზებულად გაწვევის მიზნით:

1. მოქალაქეთა 2021 წლის საშემოდგომო გაწვევა განხორციელდეს 2021 წლის 2 აგვისტოდან 2021 წლის 25 დეკემბრამდე.

2. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოს თავდაცვის ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვროს 1400-ით.

3. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში – სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში გასაწვევ მოქალაქეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვროს 684-ით.

4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში გასაწვევ მოქალაქეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვროს 1395-ით.

5. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში გასაწვევ მოქალაქეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვროს 200-ით.

6. საქართველოს თავდაცვის ძალებში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში – სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში გაწვეულ იქნენ 18-იდან 27 წლამდე ასაკის მოქალაქეები, რომლებსაც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით არ აქვთ სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების ან სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან გათავისუფლების მოთხოვნის უფლება.

7. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ პერიოდში, ამავე მუხლის მე-2 – მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული უწყებების წერილობითი მოთხოვნების შემთხვევაში, სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2021 წლის საშემოდგომო გაწვევის პროცესი შესაბამის უწყებაში შეიძლება, შეწყდეს ამავე მუხლის მე-2 – მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებამდე.

8. 18-დან 27 წლამდე ასაკის გასაწვევი მოქალაქეები ამ დადგენილების ამოქმედების დღიდან ვალდებულნი არიან, გამოცხადდნენ მუნიციპალიტეტის მერიის, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობისა (შემდგომში – თბილისის რაიონი) და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სამინისტროს (შემდგომში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სამინისტრო) შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში (შემდგომში – მუნიციპალიტეტის/თბილისის რაიონის/აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სამინისტროს სტრუქტურული ერთეული) რეგისტრაციის/ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

9. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ამ დადგენილების ამოქმედებიდან 10 დღის ვადაში განსაზღვროს ის სამედიცინო დაწესებულებები, რომლებშიც გაიგზავნებიან წვევამდელები დამატებითი სამედიცინო გამოკვლევისათვის.

10. მოქალაქეთა მიერ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის გადავადების მოსაკრებლის გადახდა განხორციელდეს გაწვევის მთლიან პერიოდში, მუნიციპალიტეტის/თბილისის რაიონის/აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სამინისტროს გამწვევი კომისიის მიერ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში.

11. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ადგილებზე აღმოუჩინოს დახმარება მუნიციპალიტეტის/აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებს იმ წვევამდელთა მოძებნასა და მუნიციპალიტეტის/თბილისის რაიონის/აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სამინისტროს გამწვევ კომისიაზე გამოცხადებაში, რომლებიც არ იძებნებიან ან, სავარაუდოდ, თავს არიდებენ სამხედრო სავალდებულო სამსახურს.

12. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ კოორდინაცია გაუწიოს სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის პროცესს.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2021 წლის 2 აგვისტოდან.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი

ხაშურის მუნიციპალიტეტი
ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია

ბრძანება:№84.84212103

თარიღი: 29/07/2021

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს ადგილობრივი

თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ მე–20-ე, 21–ე, 22–ე, 23–ე, 24–ე, 25-ე, 28–ე მუხლების და საქართველოს მთავრობის 2021 წლის 26 ივლისის № 375 დადგენილების „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2021 წლის საშემოდგომო გაწვევის შესახებ“ თანახმად, სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა გაწვევის ორგანიზებულად მოწყობის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ხაშურის მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურის გასავლელად 2021 წლის საშემოდგომო გაწვევის პერიოდში საქართველოს შეიარაღებულ ძალებში გეგმა-გრაფიკის შესაბამისად მოხდეს წვევამდელთა გაწვევა;

2. სამხედრო ძალებში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გაწვეულ იქნან ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 18–დან 27 წლამდე ასაკის წვევამდელები, რომლებსაც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით არ აქვთ სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების ან სამხედრო სამსახურში გაწვევისგან გათავისუფლების მოთხოვნის უფლება;

3. მოქალაქეთა მიერ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისაგან გადავადების მოსაკრებელის გადახდა განხორციელდეს გაწვევის მთლიან პერიოდში, მუნიციპალიტეტის გამწვევი კომისიის მიერ სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში;

4. ეთხოვოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის ხაშურის რაიონულ სამმართველოს, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 26 ივლისის № 375 დადგენილების „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2021 წლის საშემოდგომო გაწვევის შესახებ“ პირველი მუხლის მე-11-ე პუნქტის შესაბამისად აღმოუჩინოს დახმარება ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულს - სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურს იმ წვევამდელთა მოძებნასა და გამწვევ კომისიაზე გამოცხადებაში, რომლებიც თავს არიდებენ სამხედრო სავალდებულო სამსახურს;

5. დამტკიცდეს გამწვევი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

კომისიის თავმჯდომარე:

ზვიად ქურდაძე – ხაშური სმუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი;

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:

მიხეილ ბარბაქაძე – ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ხელმძღვანელი;

კომისიის წევრები:

(დასასრული V გვერდზე)

გმირობის საზომის სიმახინჯენი

ქართული მეტყველებისთვის სიტყვა „გმირი“ და „გმირობა“ ახალი არ არის. იგი უხსოვარი დროიდან გამოხატავდა ცალკეულ ადამიანთა ისეთ ქმედებებს, რომლის ჩადენა მხოლოდ ერთეულებს შეუძლიათ.

გასულ საუკუნეში გაჩნდა გმირობის გამოხატვა - შეფასების ისეთი ცნებანი, როგორიცაა „საბჭოთა კავშირის გმირი“, „სოციალისტური შრომის გმირი“, „კომუნისტური შრომის დამკვრელი“ და ა.შ.

მე არ ვარ უმადურთა ფეხის ხმის ამყოლი კაცი, რომ ყველაფერი ძველი ვლანძღო და გავაბაიბურო, მაგრამ გარკვეული კითხვები გულს მიღრღნის და არ შემიძლია, არ გამოვთქვა მათ ირგვლივ ჩემი მოსაზრებანი.

უმადურები არ ითვალისწინებენ, რომ საქართველოს არ შეეძლო მეტალურგიის, ავიაციის, ჩარხთმშენებლობის და სხვა დარგის მრეწველობის განვითარება, ენგურჰესის და სხვა მსხვილი ნაგებობების აშენება და ა.შ. შრომას და მშრომელ ხალხს წახალისება სჭირდება, აქ ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ საკითხავია, მშენებელმა მშენებლობაზე, აგური აგურზე კომუნისტურად დადო, სოციალისტურად, კაპიტალისტურად თუ დამკვრელურად.

საკითხავია, როგორ შეეძლო ერთ ქალბატონს იმდენი ჩაი ეკრიფა, რომ რამდენიმეჯერ მიენიჭებინათ სოციალისტური შრომის გმირის წოდება. ასეთის კალათაში სხვები ხომ არ ყრიდნენ ჩაის ფოთოლს? საკითხავია, გლეხი რომ დღე და ღამეს ასწორებდა ვენახში მუშაობით, როგორ ხდებოდნენ ცენტრალური კომიტეტის და რაიკომის მდივნები, სოციალისტური შრომის გმირები?. ნუთუ კაბინეტებიდან ლოზუნგების ფრქვევა იყო მისათვის საჭირო და საკმარისი?

გაგიკვირდებათ, მაგრამ თურმე მე-2 მსოფლიო ომის დროსაც ხდებოდა გაურკვევლად საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭება.

ამ დიდი ომის მონაწილე, თავის დროზე პოლიტმუშაკი, პოლკოვნიკი გრიგოლ კვირკველია მომიყვა, რომ მისი ხელით იყო დაწერილი საბჭოთა კავშირის გმირის წოდებაზე წარდგინება ერთ-ერთი პირის მიმართ (გვარს არ დავასახელებ), რომელიც საარტილერიო დანაყოფს მეთაურობდა.

ერთ-ერთი ბრძოლის დროს, ამ დანაყოფის მიერ გახსნილ ცეცხლს ემსხვერპლა გერმანელი ცნობილი გენერალი, რომლის გვარიც ჩემი მეხსიერებიდან ამოიშალა და ზემდგომმა სარდლობამ მოითხოვა ბატალიონის მეთაურის გმირობაზე წარდგენა, რაც მოხდა კიდევაც, თუმცა არავინ იცოდა ვისმა გასროლილმა ტყვიამ იმსხვერპლა ფაშისტი გენერალი. ასეთი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება. ყველა საპატიო ჯილდოს და წოდებას აქვს სტატუსი - თუ ვის და რა შემთხვევაში მიენიჭოს იგი, მაგრამ ამ საზომის ზუსტად მორგება, ხშირ შემთხვევაში, შეუძლებელია. და საკითხს წყვეტს არა სინამდვილე, არამედ მისი აღწერა და პოპულარიზაციის დონე, საიდანაც გამომდინარეობს გმირობის საზომის სიმახინჯენი. გმირობის საზომად უნდა გამოვიყენოთ ქმედების ჩამდენი პირის დამოკიდებულება საკუთარი ქმედებისათვის.

გმირობის წარმოსაჩენად საჭიროა გარემოცვის მხრიდან ობიექტური რეაგირება, ფაქტების გახმაურება, პროპაგანდის გაწევა და ასე შემდეგ...

რა თქმა უნდა, პიროვნება თავის თავს ვერ განადიდებს, ამას გარემოცვის რეაგირება სჭირდება. ჩვენს ირგვლივ არიან ადამიანები, რომლებსაც საგმირო ქმედებები აქვთ ჩადენილი, მაგრამ ამის შესახებ არავინ იცის, თუმცა არიან ბაქი-ბუქები, რომლებიც ბამბას აჩხრიალებენ.

ამ წერილით ჩვენი ღირსეული თანამემამულის შესახებ მინდა მოგითხროთ, რომელმაც საკუთარი სიცოცხლის გარისკვით გვიჩვენა გმირობის ტოლფასი მაგალითი, მაგრამ ამის შესახებ არაფერი თქმულა, თუნდაც გავიხსენოთ საქართველოს უახლეს ისტორიაში ავად მოსაგონარი 1991 წლის 22 დეკემბრის შავბნელი დილა.

დანაწევრებული ქართული საზოგადოების ნაწილი სხვადასხვა „ისტების“ ბანაკებში აღმოჩნდა. ე.წ. ზვიადისტების წინააღმდეგ შეიკრა წრე, რომელმაც გადაწყვიტა, ძალის გამოყენებით, დაემხო კანონიერად არჩეული პრეზიდენტის ხელისუფლება. ამ უხეშ ძალებს ხელმძღვანელობდნენ გვარდიის განდგომილი მეთაური თენგიზ კიტოვანი, მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე თენგიზ სიგუა, უკანონო შეიარაღებული დაჯგუფება „მხედრიონის“ უფროსი ჯაბა იოსელიანი, დამხობილი კომპარტიის ლიდერები და მათთან მიტმასნილი მერყევი და თავბრუდახვეული ცალკეული მოქალაქენი.

წარმოუდგენელია, მაგრამ ზ. გამსახურდიას მოწინააღმდეგე ბანაკში აღმოჩნდნენ მისი ცნობილი თანამებრძოლები ირაკლი წერეთელი, გია ჭანტურია და სხვანი. განდგომილთა შორის აღმოჩნდა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანიც, რომელიც დედაქალაქის ნგრევის პერიოდში ზღვაზე ირუჯებოდა.

ერთმანეთს სამკვდრო სასიცოცხლოდ დაუპირისპირდა ძალა და კანონი. აშკარად გამოჩნდა სიმართლე გამონათქვამისა: სადაც ძალა შევიდა, კანონი გარეთ გავიდაო... დაძაბულობამ და ფეთქებად საშიშმა მდგომარეობამ პიკს მიაღწია და აი, დადგა 22 დეკემბრის დილის 8 საათი. თბილისში, რუსთაველის გამზირზე, მთავრობის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, გაისმა პირველი გასროლის ხმა, რომელიც ის ნაპერწკალი აღმოჩნდა, ცეცხლი რომ აანთო. პირველი გასროლისთანავე დაიღუპა ქუჩის დამსუფთავებელი ქალბატონი. ამ გასროლას მოჰყვა ძმათამკვლელი ბრძოლები, რომლისთვისაც სახელი ჯერაც არ დაურქმევიათ. ზოგი ამბობს, რომ ეს იყო თბილისის ომი, ზოგის აზრით იყო სამოქალაქო ომი, ზოგი სახალხო აჯანყებად მოიხსენიებს, ზოგიც პუტჩს და ზოგიც გადატრიალებას უწოდებს, ფაქტი კი ერთია: ძალისმიერი მეთოდით დაამხეს კანონიერი ხელისუფლება.

მთავრობის სახლის (ამჟამად პარლამენტის შენობა) ირგვლივ დატრიალდა ჯოჯოხეთი. ტყვიის წვიმა დაატყდა თავს დედაქალაქის გულს. გვრგვინავდა ცა და დედამიწა. ცეცხლის ეპიცენტრში აღმოჩნდა ის მონაკვეთი, სადაც განლაგებული იყო ხაშურისა და ქუთაისის განყოფილებების პირადი შემადგენლობები. ეს მონკვეთი მოიცავდა ქაშუეთის ეკლესიასთან არსებული მიწისქვეშა გასასვლელიდან, პირველი სკოლის მიმართულებით, რუსთაველის გამზირის გადაკვეთას სკოლისა და მთავრობის სახლის აღმავალ მოკირწყლულ ქუჩას. ე.ი. ცეცხლის ეპიცენტრს. ცეცხლის გახსნით გამოწვეული გრუხუნისთანავე, იქ მყოფთა შორის გაიელვა თავის გადარჩენის ინსტიქტმა და იქაურობა უკაცრიელ ადგილს დაემსგავსა. მიიმალნენ პოლიციელებიც, რომლებიც ორ ცეცხლს შუა აღმოჩნდნენ. თანაც ისეთ სიტუაციაში, რომ შუა ცეცხლში მყოფებმა არ იცოდნენ, ვინ მტერი იყო და ვინ - მოყვარე. ერთი სიტყვით, შეიქმნა ისეთი სიტუაცია, დედა შვილს, რომ ვერ აიყვანდა და ძაღლი პატრონს ვერ იცნობდა. ამ ტყვიის ქარცეცხლში ბარძაყის არეში მძიმედ დაიჭრა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე რომან გვენცაძე, რომელსაც იმავე დროს ეკავა თბილისის შს სამმართველოს უფროსის თანამდებობა.

რომან გვენცაძე იყო ის კაცი, რომელიც მუდამ იმყოფებოდა თანამებრძოლთა შორის ნებისმიერ რთულ და საშიშ პირობებში. საამაყო იყო მის გვერდით შრომაც და ბრძოლაც, ის იყო მაგალითი, თუ როგორ უნდა ემსახურო საქმეს, რომელიც სჭირდება სამშობლოს ინტერესებს. ტყვიით მოცელილი ეს ლომკაცი აღმოჩნდა ძირს დაცემული სიმარტოვეში. რომანის დაცემის მიმდებარე სამალავიდან თავის გამოყოფა სიკვდილის ტოლფასი იყო. მაგრამ აღმოჩნდა კაცი, რომელმაც დაძლია სიკვდილის შიში და გაექანა დაჭრილის დასახმარებლად. ეს კაცი გახლდათ ხაშურის შს რაიგანყოფილების თანამშრომელი, მაშინ მაიორის წოდებაში მყოფი აკაკი ნიკოლოზის ძე პაპუაშვილი.

აკაკი ფიზიკურად ძლიერი კაცია, მაგრამ მაინც გაუჭირდა დაჭრილი მძიმეწონიანი კაცის მარტოდმარტო თრევა, მაგრამ მაინც შეძლო პირველი სკოლის მხარეს მთავრობის სახლის არსებულ ჭიშკრამდე დაჭრილი ლომკაცის თრევით მიყვანა. აი, ეს იყო გმირობა, როცა საკუთარ სიცოცხლეს სწირავ სხვისი სიცოცხლის გადასარჩენად. დაჭრილისათვის სათანადო პროცედურების ჩატარებამდე დრო გავიდა და გარეთ გავრცელდა ხმა, თითქოს პაპუაშვილი გარდაიცვალა. თუმცა, ტანსაცმელზე არსებული ნატყვიარების კვალით თუ ვიმსჯელებთ, ეს ფაქტი არც ისე შორს იყო მოსალოდნელი საშიროებისაგან. მაგრამ ღმერთმა ინება და აკაკი უვნებელი გამოვიდა ამ სიტუაციიდან. იმ ტრაგიკული დღეების ამ ერთი ეპიზოდიდან მკითხველს მინდა შევახსენო, რომ გმირები ჩვენს გვერდით ცხოვრობენ და მოღვაწეობენ, მაგრამ ჩვენ მათი დამსახურების შესახებ არაფერი ვიცით. გმირობა მარტო მტრის ხოცვა ჟლეტაში არ გამოიხატება. გმირობა ის ქმედებაა, როცა საკუთარ სიცოცხლეზე მაღლა აყენებ სხვის სიცოცხლეს და ქვეყნის ინტერესებს, ისე როგორც ეს მაშინ გააკეთა აკაკი პაპუაშვილმა. ამ წერილით მე ვინმეს გმირად აღიარების საკითხს კი არ ვსვამ. არამედ მინდა გარემოცვამ იცოდეს, რომ ჩვენს გვერდით არიან ადამიანები, რომლებიც იძლეოდნენ გმირობის მაგალითებს, მაგრამ მათი მოკრძალებული ცხოვრების გამო, ამის შესახებ ბევრი არაფერი ვიცით.

ვისაც აკაკი პაპუაშვილთან სამსახურებრივი და მეგობრული ურთიერთობა ჰქონებია, მას არ გაუკვირდება მისი ასეთი მოქცევა, რადგანაც კაკოს პიროვნებაში ჩაქსოვილი და შერწყმულია ისეთი თვისებები, როგორიცაა ქრისტიანული სული, ადამიანისადმი გულთბილი დამოკიდებულება, ერთგულება, თავგანწირვა, თანადგომა და სხვა მრავალი სიკეთე, რომელიც მინიჭებული აქვს უზენაესისაგან. მეამყება, რომ ჩვენ ვართ თანამემამულენი ისეთი კაცისა, რომლისთვისაც უზენაეს გრძნობას წარმოადგენს კაცთმოყვარეობა, სამშობლოს სიყვარული, სახელმწიფოს წინაშე დადებული ფიცის ერთგულება, მორალური ურყეობა, ბოროტებისადმი შეურიგებელი ბრძოლა, ჰუმანურობა, ქვეყნისა და გარემოცვის ერთგულება. ამ კეთილშობილმა თბილისებმა უბიძგეს მას სხვისი სიცოცხლის შესანარჩუნებლად. ამიტომაც დაიფარა უფალმა და მის სხეულს არ მიაკარა არც ერთი ტყვია, რომელმაც რამდენგანმე გაგლიჯა მისი ტანსაცმელი რომანის გადაჩენისათვის მცდელობის მომენტში. ბატონი აკაკი დაბადებულია დუმაცხოვში, ამჟამად პენსიონერია და ცხოვრობს ხაშურში. მას კარგად იცნობს რაიონის საზოგადოება. მას აქვს მორალური უფლება ამაყად იაროს ქალაქის ქუჩებში, რადგანაც არასოდეს შეურცხვენია მისი ღირსება. სხვისი სიცოცხლის გადარჩენისათვის თავგანწირვა სამაგალითოა ყველასათვის, მითუმეტეს, რომ მას ამ თავგანწირვისათვის ჩინ-მედლები არ მიუღია. იმ დიდი არეულობის დროს, ხეირიანი მადლობაც არავის უთქვამს. მადლობას ჩვენ გიხდით, მეგობარო, რომ შენი თავგანწირვით მაღლა აწიე ჩვენი რაიონის სახელი და ღირსება.

გმირობის საზომს ბევრი სიმახინჯე გააჩნია. როგორც იტყვიან, ზოგის ბამბა ჩხრიალებს, ზოგის კაკალიც არაო. ვერავინ დათვლის, რამდენმა კაცმა მიიღო დაუმსახურებლად გმირის წოდება, რამდენი დამსახურებულის შესახებ კი არავინ არაფერი იცის.

ხდებოდა ასეც: წინასწარი შეთანხმებით ვის კალათშიც ჩაყრიდნენ მოკრეფილ ჩაის ფოთოლს, იმ წელიწადს იმას გახდიდნენ შრომის გმირად. ამ უწესო წესით იზომებოდა გმირობის მინიჭების საფუძვლები. იყო სხვა სიმახინჯენიც, როგორიცაა დაბადების დღეებთან დაკავშირებით გმირობის წოდების მინიჭება. 40-50 წლის უკან დამთავრებულ ომში ვითომც განსაკუთრებული დამსახურების აღიარება.

თავის დროზე, სიმღერად ქცეული კაპიტან ბუხაიძისთვის გმირობის წოდების მინიჭება აზრადაც არავის მოსვლია.

მუშა და გლეხი შრომით წელში წყდებოდნენ, სხვადასხვა რანგის პარტიული კომიტეტის მდივნები კი შრომის გმირები ხდებოდნენ. ძნელია ჩამოვთვალო გმირობის მინიჭების სიმახინჯენი.

აკაკისნაირი სულით გმირები ჩვენს გვერდით დადიან. პატივისცემით მოვეპყროთ მათ პიროვნებას და არა მკერდზე მიბნეულ ჯართად ქცეულ ჟეტონებს.

რევაზ გრიგალაშვილი

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ.# 1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23)

ხაშურის ისტორიისათვის (1693-2020 წწ)

ხაშურის სტამბებში დაბეჭდილია შემდეგი წიგნები:

ნატალია გიგაური – მართალი ამბავი, ხაშური, ი. ყაჭეიშვილის სტამბა, 1912წ. წიგნი ინახება თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში, ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში, მოსკოვის საჯარო, სალტიკოვ-შჩედრინისა და აკადემიის ბიბლიოთეკებში.

კ. რამიშვილი – ლექსები, ხაშური, გამოცემა ავტორისა, ცეცხლაძის სტამბა. 1912წ. წიგნი ინახება მოსკოვის საჯარო ბიბლიოთეკაში.

ტრიფონ რამიშვილი – "ექიმი აშირბაჯიანი", პიესა სამ მოქმედებად, ხაშური, ი. ყაჭეიშვილის გამოცემა და სტამბა, 1912წ. წიგნი ინახება მოსკოვის საჯარო ბიბლიოთეკაში.

ფაფონე ღელეყვა – "კოსანდილე ღელეყვას" ხსოვნას, ხაშური, ყაჭეიშვილის სტამბა, 1912წ. წიგნი ინახება მოსკოვის საჯარო, სალტიკოვა-შჩედრინის სახელობისა და მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკებში.

გულგატეხილი, ნაწერები გულგატეხილის, ხაშური, ი. ფ. ყაჭეიშვილის სტამბა, 1913წ. წიგნი ინახება მოსკოვის საჯარო ბიბლიოთეკაში.

ე. პატარაია, "რა მიქნა მოდამ" და სხვა ლექსები, შედგენილი ე. პატარაიასი, ხაშური, ი. ფ. ყაჭეიშვილის სტამბა 1913წ. წიგნი ინახება ყოფილი სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ ი. ყაჭეიშვილის სტამბა იჯარით აიღეს სოციალ–ფედერალისტების ადგილობრივმა ორგანიზაციამ. შემდეგ კი იგი გადავიდა ხაშურის რაიონის მუშათა დეპუტატების საბჭოს განკარგულებაში.

„ხაშურის რაიონის მუშათა დეპუტატების საბჭომ – წერდა გაზეთი „ერთობა" – ჩამოართვა სტამბა ადგილობრივ სოც. ფედერალისტების ორგანიზაციას თავისი საჭიროებისათვის. ეს სტამბა ეკუთვნის იოსებ ყაჭეიშვილს და იჯარით აიღეს ფედერალისტებმა. დღიდან სტამბის ფედერალისტების ხელში გადასვლისა, სტამბა უმოქმედოთ იყო. მუშათა საბჭომ რამდენჯერმე მისცა მათ წინადადება, აემუშავებინათ სტამბა და რადგან ეს ვერ შეასრულეს, ამიტომ სტამბა ჩამოართვა და დახარჯული ფულიც გაუნაღდა ფედერალისტებს."

ხაშურის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ისტორიიდან

ხაშურში საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა სათავეს XIXს-ის 80-იანი წლებიდან იღებს და დაკავშირებულია რკინიგზის მთავარ სახელოსნოებთან. ხაშური 70-იანი წლებიდან მოყოლებული მთელ ამიერკავკასიის რკინიგზაზე ერთ-ერთ მნიშვნელოვან მუშათა დაბას წარმოადგენდა. მუშები აქ ყოველთვის მრავალრიცხოვანი ყოფილა. მის სიმრავლეს ხელს უწყობდა არა მარტო რკინიგზის დაწესებულებანი, არამედ მცირე ტიპის მანუფაქტურები და სახელოსნოები, რომელთა რაოდენობა თანდათან, რკინიგზის განვითარებასთან ერთად იზრდებოდა. მუშათა განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩევა 80-იანი წლების მეორე ნახევარი, როცა სურამის გვირაბის მშენებლობა მიმდინარეობდა.

მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მუშებს აიძულებდა, გარკვეული პროტესტისათვის მიემართათ, რაც, ხშირ შემთხვევაში, გაფიცვებსა და გამოსვლებში გამოიხატებოდა. თავდაპირველად, ასეთი გაფიცვები მხოლოდ ეკონომიკური ხასიათისა იყო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, ხელფასების მომატებას, სამუშაო საათების შემცირებასა და სხვა მოთხოვნებს ითვალისწინებდა.

გაზეთი „ივერია", 1887 წლის 1 ივლისს, თავის ფურცლებზე აღწერდა ხაშურში მუშათა მძიმე საბინაო პირობებს და საყვედურობდა ა.კ. რკინიგზის ტექნიკური ინსპექციის კომიტეტის უფროსს შერვარს, რომელსაც ადგილზე უნდა შეესწავლა რკინიგზელთა საცხოვრებელი შენობების მდგომარეობა მოსამსახურეთა შორის მისი განაწილების კანონიერება და სხვა, მაგრამ ეს არ გააკეთა. „სამწუხაროდ, – წერს გაზეთი, – შერვარმა თურმე აქ არაფერი არ გასინჯა – რა. იმედია, გამოკვლევაზე დაათვალიერებს. ურიგო არ იქმნებოდა, რომ მიექცია განსაკუთრებული ყურადღება ხაშურში რკინისგზის შენობებისათვის. გაესინჯა, თუ რა სიმართლით არის განაწილებული ეს შენობები გზის მოსამსახურეთა შორის. ზოგიერთ შენობაში არა თუ ადამიანს, პირუტყვსაც არ ედგომება და ზოგს კი იმისთანა პირს უჭირავს საუკეთესო შენობა, რომელსაც არ ეკუთვნის..."

ერთ-ერთი პირველი გამოსვლა ხაშურში 1880 წლის იანვარში მომხდარა, როდესაც რკინიგზის სახელოსნოების ადმინისტრაციამ მუშებს განუცხადა, რომ ხელფასს შეამცირებდა. ადმინისტრაციის გადაწყვეტილებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მუშებში და მათ რამდენიმე დღიანი გაფიცვა გამოაცხადეს. როგორც შემდგომი მოვლენებიდან ჩანს, სახელოსნოების ადმიისტრაციამ სთხოვა მუშებს სამუშაოზე გასვლა და ხელფასების შენარჩუნებასაც შეპირდა, მაგრამ ისინი კვლავ განაგრძობდნენ გაფიცვას. მუშათა ერთსულოვნებამ აიძულა სახელოსნოების მესვეურები და გაფიცულებს „...უანდარმების პირით ... გამოუცხადეს, რომ ჯამაგირი ისევ წინანდელი ექნებათ ყველასაო.."

გაფიცული მუშები მხოლოდ ამის შემდეგ გავიდნენ სამუშაოზე. მუშათა გარკვეული ნაწილი კი საერთოდ აღარ მისულა სახელოსნოებში სამუშაოდ და მიხაილოვოდან წავიდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ გაფიცვა მუშათა გამარჯვებით დამთავრდა, მათი მდგომარეობა არ გამოსწორებულა, იგი კვლავ მძიმე რჩებოდა, რაზეც მეტყველებს ამ პერიოდის ქართული პერიოდული პრესის არერთი პუბლიკაცია მიხაილოველი მუშების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, 1883 წლიდან, რკინიგზის მთავარი სახელოსნოების ერთი ნაწილი ხაშურიდან თბილისში გადაიტანეს. რამდენიმე წლის შემდეგ, 1895 წელს, სახელოსნოების დარჩენილი ნაწილიც გადავიდა თბილისში. მიხაილოვოში მომუშავე მუშათა დიდი ნაწილი თბილისში გადავიდა სამუშაოდ, მაგრამ არც აქ გამოსწორებულა საყოფაცხოვრებო და ეკონომიკური მათი მდგომარეობა.

ხაშურში დარჩენილ და თბილისში გადასულ მუშებს შორის ირკვევა, რომ გარკვეული კავშირ-ურთიერთობა არსებობს, რაც ხშირად ვლინდება ერთობლივ გამოსვლებსა თუ გაფიცვებში.

1886 წელს, თბილისის რკინიგზის სახელოსნოებში, უკვე ადგილი ჰქონდა მუშათა გაფიცვას. გაფიცვა სტიქიურად დაიწყო და სამ დღეს გაგრძელდა. იგი გამოწვეული იყო ხელფასების შემცირებითა და შემკრები საამქროს ოსტატების თავგასულობით.

1887 წლის თებერვალში კვლავ იფეთქა მუშათა გაფიცვამ თბილისის სახელოსნოებში, რაც გამოწვეული იყო სამუშაო დროის გადიდებით. ამას თან ერთვოდა მუშების უკმაყოფილება ადმინისტრაციის თვითნებობის გამო.

28 თებერვალს 1000-ზე მეტმა მუშამ დატოვა სახელოსნოები და რკინიგზის სამმართველოს შენობისაკენ გაემართა. პოლიციამ ვერ შეძლო მუშების შეკავება. გაფიცულებმა სამმართველოს ხელმძღვანელობას წარუდგინეს ცხრა მუხლად ჩამოყალიბებული მოთხოვნები. მეშვიდე მუხლში ნათქვამი იყო: „მიეცეს დახმარება ხაშურის რკინიგზის სახელოსნოებიდან თბილისში გადმოყვანილ მუშებს".

როგორც ვხედავთ, გაფიცულებს შორის ხაშურის სახელოსნოებიდან გადაყვანილი მუშებიც ყოფილან, რომლებიც თავიანთი მდგომარეობის გამოსწორებას მოითხოვდნენ და რაშიც თბილისის სახელოსნოების სხვა მუშებიც უჭერდნენ მხარს.

გაფიცვა 4 მარტამდე გაგრძელდა. სამმართველოს ადმინისტრაციამ ვერ უზრუნველყო მუშათა მოთხოვნების დაკმაყოფილება. მას მხარს უჭერდა პოლიცია და ჟანდარმერია. 30 მუშამ უარი განაცხადა სამუშოს გაგრძელებაზე და სახელოსნოები მიატოვა. მართალია, გაფიცვა მუშათა მარცხით დამთავრდა, მაგრამ მან დიდი გავლენა იქონია მუშათა მოძრაობის შემდგომ განვითარებაზე.

ხაშურში მუშათა არაერთი გამოსვლა და გაფიცვაა დაკავშირებულია სურამის გვირაბის მშენებლობასთან. ამ შემთხვევაშიც გამოსვლები უმთავრესად ეკონომიკური ხასიათის იყო და ძირითადი მიზეზი მოიჯარადრეების მხრიდან მუშებისათვის ხელფასის დაგვიანების და გადაუხდელობის შემთხვევები იყო.

ერთ-ერთი პირველი ცნობა გვირაბზე მომუშავე მუშებსა და მოიჯარადრეებს შორის გამწვავებული ურთიერთობის შესახებ გაზეთ „ივერიის" ფურცლებზე 1987 წლის 17 ივლისს გაჩნდა. „...ამ უკანასკნელ დროს საშინლად დიდი უთანხმოება და ჰო-არარაობა სუფევს თურმე იჯარადართა და მუშათა შორის. თითქმის დღე არ გავა, რომ სასამართლოს კარებს არ მიადგნენ მუშები და არ უჩივოდნენ რომელსამე იჯადარსა, რადგანაც ხშირად იჯარადარნი ისე იჭერენ საქმეს, რომ უბრალო მუშები თუ გამტყუნდებიან, თორემ მოგებით ვერას მოიგებენ. ამიტომ იშვიათი არ არის აქა, რომ შურისძიება მუშებს ჩაადენინებს ხოლმე ისეთს საქციელს, რომელიც ორივე მხრისთვის საზარალო და უსიამოვნოა".

გაზეთს აქვე მოჰყავს კონკრეტული შემთხვევაც. ბერძენმა მუშებმა, რომლებმაც გვირაბის მშენებლობაზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები შეასრულეს და იჯრადარისაგან მოითხოდვნენ „თავიანთი ხვედრი ფულის" მიღებას, ეს უკანასკნელი არ ძლევდა მათ გასამრჯელოს. „იჯარადარმა – აღნიშნავს გაზეთი, – დიდხანს ატარა მუშები, ხან უთხრა, არა მაქვს ხელად ფულიო, ხან დრო დაუნიშნა და მაინც არ მისცა".

მუშები, იჯარადართან ხვეწნამ რომ არ გასჭრა, მუქარაზე გადავიდნენ და ძალით წაართვეს გასამრჯელო.

„ბერძნებმა ითმინეს, ითმინეს, ბოლოს (იჯარადარს) უთვალთვალეს და ჩაიგდეს ხელში სურამს გარედ. დაუწყეს ჯერ ხვეწნა – მოგვეცი ჩვენი ალალად ნამუშევარიო და ხვეწნამ რო არ გასჭრა, მუქარა დაუწყეს. მუქარაზე იჯარადარმა უთხრა: სასამართლოში მიჩივლეთო. ბერძნებმა ამაზე უარი განუცხადეს: ჩვენ უბრალო ხალხნი ვართ, ჩვენ სასამართლოში ვერ დავიცავთ საქმესა და არცარა საჩივლელი გვაქვს. ამიტომ, რომ ჩვენი საქმე ნადდია და წმინდაა, გვიშრომნია და მოგვეცი ჩვენი ქირა, არ მოგვცემ და აი, ეს დანა, ეხლავ ყელს გამოგჭრით, რადგან მეტი სახსარი არა გვაქვსო: შიმშილით დახოცვას ციხეში ყოფნა გვირჩევნიაო. ამოუღიათ დანა და გულზე მიუბჯენიათ იჯარადარისათვის. მაშინ კი ეს უკანასკნელი დათანხმებულა, გაგისწორდებით ეხლავეო. ამოუღია ქისა და ყველასათვის თავ-თავიანთი ხვედრი ფული დაურიგებია".

მუშებისა და მოიჯარადარეების უთანხმოებაზე წერს გაზეთი ქვიშხეთის მაგალითზეც.

გაზეთი „ივერია" გვირაბზე მომუშავე მუშების მძიმე მდგომარეობის შესახებ შემდეგს აღნიშნავდა: „შარშან მთავრობა შეუდგა სურამის უღელტეხილის გარშემოსავლელ გზის კეთებას. ამ გზაზე გვირაბის გაკეთებაც არის საჭირო. გვირაბი სამ ვერს-ნახევარ მანძილზე იქნება გაყვანილი ბეღლითსა და წიფას შუადღეს ძლიერ გახურებული მუშაობაა ამ გზაზე, როგორც ქვიშხეთის, ისე წიფის მხრითა. სამწუხაროდ, ამ გზის გაკეთების დროს ბევრი ურიგობა ხდება. საცოდაობით დაიწვის, ვინც ამ გზაზე მომუშავე ხალხსა ჰნახავს: ცისამარა დღეს გუნდ-გუნდად მუშას შეჰხვდებით უსაქმურად მოსიარულეთა სურამსა და ხაშურში, ამ საცოდავებს პური არა აქვთ საჭმელად. ხშირად მიჰმართავენ ხოლმე ზოგი პოლიციის ბოქაულს და ზოგი კიდევ მუშაობათა უფროსს ბ-ნს რიძევსკის: სთხოვენ, შემწეობა გაგვიწიეთ, ფული გადაახდევინეთ მეიჯარდრესაო. გვამუშავა ზოგი ერთს თთვესა, ზოგი კიდევ მეტს ხანსა და გროში ფული არ მოუციაო, ან-კი ვისგან მიიღებდნენ მუშები ფულსა? მეიჯარადრეებს მომეტებულ ნაწილად ისეთი ხალხი ჰყავთ თანაშემწედ, რომელნიც ფულს იღებენ თავიანთ აღებისაგან მუშებთან გასასწორებლად და იმის მაგიერ, რომ მუშებს გაუსწორდნენ, ფულს ჯიბეში იდებენ და მირბიან. თუ კარგი მეიჯარადრე შეჰხვდათ მუშებს, ხომ იმათი ბედი, თუ არა და ფულზედ ხელი უნდა აიღონ და ნამუშევარზედაც... ურიგო არ იქნებოდა, რომ მიექციათ ყურადღება ამ გარემოებისათვის და შეუძლებელ მეიჯარადრეთათვის აღარ მიეცათ არავითარი სამუშაო. ამ გვარის განკარგულებით მუშა ხალხი აღარ მოსტყუვდებოდა და თავის ნაშრომის ფასს დაუბრკოლებლივ მიიღებდა".

იმავე წლის 22 სექტემბერს, გაზეთი „ივერია" უკვე გულისტკივილით წერდა: „ძალიან გვიხაროდა, როდესაც დაიწყეს გვირაბის მუშაობა. გვეგონა, დიდს სარგებლობას მოუტანდა ჩვენს მუშა-ხალხს, მაგრამ ზარალს თუ ვხედავთ ჯერ-ჯერობით, თორემ სარგებლობა არსაიდამა სჩანს. ამუშავებენ თვეობით და ფულის-კი არ იძლევიან. წიფაში ჯიბე-ცარიელი და ცუღლუტი იჯარადრები ბუზებივით ირევიან. რაკი ერთხელვე ჩაითრევენ მუშებს, მეურმეებს და სხვებს, აღარ აძლევენ ფულსა. ეუბნებიან: ასაღები გვაქვს და მოგცემთო. ვინ იცის, აღებული აქვთ, თუ ასაღები! საწყალი მუშები ამ ლოდინში ზოგი სულ უფულოდ მიდიან".

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

ხაშურის მუნიციპალიტეტი
ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია

(დასასრული)

გიორგი კაპანაძე – შსს ხაშურის რაიონული სამმართველოს წარმომადგენელი;

პავლე გაგნიძე – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელი;

ვასილ არჩვაძე – ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის სპეციალისტი;

ვასილ მახარობლიძე – ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის სპეციალისტი;

კომისიის მდივანი:

ოლგა სიდიროპულო – ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის სპეციალისტი.

6. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 26 ივლისის № 375 დადგენილების „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2021 წლის საშემოდგომო გაწვევის შესახებ“ შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 18–დან 27 წლამდე ასაკის გასაწვევი მოქალაქეები ვალდებულნი არიან 2021 წლის 02 აგვისტოდან 2021 წლის 25 დეკემბრამდე გამოცხადდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურში;

7. ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 18–დან 27 წლამდე ასაკის მოქალაქეები, რომლებიც სარგებლობენ სამხედრო სამსახურში გაწვევისგან გადავადებით საქართველოს კანონის “სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ” 30-ე მუხლის პირველი პუნქტის “ლ” ქვეპუნქტით (მღვდელმსახური ან სწავლობს სასულიერო სასწავლებელში) გათვალისწინებული საფუძვლების გაუქმების შემთხვევაში ვალდებულნი არიან 2021 წლის საშემოდგომო გაწვევის პერიოდში გამოცხადდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურში;

8. ბრძანება გამოქვეყნდეს ადგილობრივ პრესაში;

9. ბრძანება შესასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურულ ერთეულს - სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურს;

10. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე;

11. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ

კანონმდებლობით დადგენილი წესით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ.ხაშური, კოსტავას ქ. №15) ერთი თვის ვადაში.

ზვიად ქურდაძე,
ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი
(დროებით მოვალეობის შემსრულებელი)

კარგია, როცა კრიტიკას საქმით პასუხობენ!

გაზეთ „ხაშურის მოამბეში“ მიმდინარე წლის 1 მარტს (#5) დაიბეჭდა ჩვენი წერილი, სათაურით „უნდა მოგვარდეს“, სადაც ყურადღებას ვამახვილებდით ქ. ხაშურის აგრობაზრის მისასვლელების და მიმდებარე უსახელო გზის სავალალო მდგომარეობის შესახებ.

სიმართლე უნდა ვთქვა, ველოდი, რომ ის კრიტიკა დარჩებოდა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

ჩემდა საბედნიეროდ და სასიამოვნოდ, უნდა ვთქვა, რომ სულ ტყუილად ვეჭვობდი. ჯერ ერთი „ხაშურის მოამბის“ რედაქტორმა, ჩემთვის ღრმად პატივცემულმა ჟურნალისტმა ბატონმა გოგი გოგალაძემ, წერილი რომელსაც მელანიც კი არ შეშრობოდა, მიტანისთანავე უმალ დაბეჭდა. შემდეგ წერილის დაბეჭდვიდან ერთი კვირაც არ იყო გასული, რომ აგრობაზრის დირექციამ სწრაფად მოახდინა რეაგირება

და ბაზრის შესასვლელებთან იქ, სადაც ამის საჭიროება იყო, წვრილი ქვაღორღი დაყარა და მოასწორა. დიდი მადლობა მათ. კარგია როცა ხელმძღვანელები კრიტიკის დროს არ იბოღმებიან და ხარვეზების გამოსწორებისათვის პრაქტიკულად იღწვიან.

სულ რაღაც 3-4 თვეში, წერილში აღნიშნული უსახელო გზა (ფრინველის ბაზრობისაკენ მიმავალი) მოუსწორებიათ, ქვაღორღიც დაუყრიათ და კარგადაც დაუტკეპნიათ.

კეთილი და პატიოსანი, სასიხარულოა, რომ წერილის პათოსს გაგებით შეხვდნენ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები, აგრობზრის მეპატრონეები და მნიშვნელოვანი საქმეც გაკეთდა, გზა წინანდელთან შედარებით უკეთესად გამოიყურება და ავტომობილებსაც და ფეხით მოსიარულეებსაც წუმპეში, ტალახში და ოღრო-ჩოღრო გზაზე არ მოუწევთ სიარული.

ამდენად, როგორც ასაკოვანი ჟურნალისტი (75წ) საჯაროდ მადლობას ვუხდი მუნიციპალიტეტის და აგრობაზრის ხელმძღვანელებს, შენიშვნების გაზიარებისა და პრობლემის მოგვარებისათვის.

კარგად ვიცი, ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და ხორცშესხმა იოლი არაა, მაგრამ გამოვხატავ რა გაზეთის მკითხველთა საერთო აზრს, პირდაპირ უნდა ვთქვა, რომ ქ. ხაშურის აგრობაზარი, მისი შემოგარენი არა მარტო ქალაქში, არამედ მთლიანად რეგიონში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო სივრცეა. აქ განლაგებული მრავალი სავაჭრო და სამეწარმეო ობიექტები უთუოდ დიდ როლს ასრულებს არა მარტო ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შევსების საქმეში, არამედ ქვეყანასაც ვეშველებით ჩვენი კარგი მუშაობით.

ზემოთ აღნიშნულ ტერიტორიაზე იმდენი საქმიანი ადამიანი და ავტომანქანა მოძრაობს, რომ მეტი ძალისხმევაა საჭირო, რათა სრულად მოწესრიგდეს აგრობაზრის შემოგარენი, ყველა მისასვლელი გზა, ქუჩა და ა.შ. თვით მოასფალტებისა და დაგვა-დასუფთავების ჩათვლით.

ვფიქრობ, ხაშურის მუნიციპალიტეტს, რომელსაც საქმიანი ხელმძღვანელები უდგანან სათავეში, ძალუძს აღნიშნული პრობლემის მოგვარება.

სავაჭრო სივრცე, სადაც ხაშურის აგრობაზართან ერთად რამდენიმე ჰიპარმარკეტია განთავსებული, რომ არაფერი ვთქვათ ათობით მცირე სავაჭრო და სხვა სამეწარმეო ობიექტებზე, უკეთეს სანიტარულ წესრიგს იმსახურებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მითითებული ტერიტორია არასოდეს არ სუფთავდება, რაც ნამდვილად არ შეგვფერის XXI საუკუნეს.

წერილში მითითებული სავაჭრო სივრცე ქალაქის სავიზიტო ბარათი უნდა გახდეს სტუმრისთვისაც და მასპინძლისთვისაც, რამეთუ პრობლემა არც თუ ისე რთულია, საჭიროა მეტი მზრუნველობა გამოვიჩინოთ ქალაქის ამ მეტად მნიშვნელოვანი ტერიტორიის კეთილმოსაწყობად. საჭირო თანხების მოძიებაც არ უნდა იყოს ძნელი თუ მოვაჭრე ობიექტებსაც ვთხოვთ მონაწილეობას ფინანსური თვალსაზრისით და ბიუჯეტიდანაც გამოიყოფა საჭირო თანხები.

თემურ ხუხუნაიშვილი
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

ოქროს ფარი“ – 25 წელი ხელოვნების სამსახურში

თითქოს გუშინ იყო,როდესაც ხაშურში ხმა დაირხა,რომ ახალი ფოლკლორული ანსამბლი იქმნებოდა,თითქოს ერთი გაელვების წინ იყო,როდესაც „ოქროს ფარი“ პირველად გამოჩნდა ხაშურის სცენაზე და მაშინვე მიიქცია ყურადღება. არადა,რა ერთი გაელვება... 25 წელი გასულა - მეოთხედი საუკუნე. ბევრი რამ მოასწრო ამ ხნის განმავლობაში ანსამბლმა. მხოლოდ საზღვარგარეთ მოვლილი ქვეყნების ჩამონათვალიც კმარა იმის დასტურად,როგორ პროფესიონალურ დონეს მიაღწიეს - საბერძნეთი, ესპანეთი, პოლონეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი, ისრაელი... ყველგან ოვაციებით ხვდებოდნენ ხაშურელ ხელოვანებს, ყველგან

აღფრთოვანებულნი იყვნენ ქართული ცეკვის სიდიადით და სილამაზით. ეს ყველაფერი კი მართლაც შესანიშნავი სამეულის - ნელი იაშვილის (ანსამბლის დირექტორი და დამფუძნებელი), პაატა თედიაშილის (სამხატვრო ხელმძღვანელი) და ნონა თედიაშვილის (ქორეოგრაფი) დამსახურებაა, რომელთა მხრებზეც გადაიარა ანსამბლის შექმნის, ჩამოყალიბების თუ შემდეგი არცთუ იოლი გზების მთელმა სიმძიმემ. სწორედ მათი მაღალი პროფესიონალიზმია ის ბალავარი, რაზეც მთელი ამსამბლის წარმატება დგას. ასეულობით მოზარდი

დაფრთიანდა მათი ხელმძღვანელობით, ასეულობით მოზარდი ეზიარა მაღალ ხელოვნებას, ასეულობით მოზარდმა გაისისხლხორცა ქართული ფოლკლორი, რაც ძალიან, ძალიან ბევრს ნიშნავს. დასახული მიზანი და აღებული გეზი არასოდეს შეუცვლია ანსამბლს -მხოლოდ მაღალი ნიშნული, მხოლოდ უმაღლესი თამასა. და აი,კიდევ ერთი წარმატება, რომელიც ამ დღეებში მოიპოვეს ოქროსფარელებმა - ბათუმის საერთაშორისო „არტ-ფოლკ ფესტში“ გამარჯვება და ლაურეატის წოდება. ცალკე დაჯილდოვდა ანსამბლის დირექტორი ნელი იაშვილი - ხელოვნებაში შეტანილი დიდი წვლილისა და ღვაწლისათვის. მართლაც ბრავო, „ოქროს ფარი“. ისინი ექვსი საცეკვაო ნომრით წარსდგნენ ჟიურისა და მაყურებლის წინაშე და ექვსივე ნომრით აღაფრთოვანეს ყველა. ბათუმის მუსიკალურ ცენტრში და ბულვარის საზაფხულო თეატრში გამართულმა მათმა კონცერტებმა უამრავი მაყურებელი მიიზიდა და ეს არც იყო გასაკვირი,რადგან მათი მარალი საშემსრულებლო ოსტატობა ისედაც ცნობილი იყო წინასწარ.

ვულოცავთ „ოქროს ფარს“ ამ წარმატებას, ვულოცავთ ქალბატონ ნელის, ქალბატონ ნონას, ბატონ პაატას ამ კიდევ ერთ აღიარებას, ვულოცავთ ანსამბლის თითოეულ წევრს დამსახურებულ გამარჯვებას და გვჯერა, ისინი კიდევ ბევრჯერ ასახელებენ ხაშურს და მთელ საქართველოს.

P.S. ამ დღეებში ცნობილი გახდა, რომ „ოქროს ფარი“ (უფროსი თაობა) მიწვეულია არაბთა გაერთიანებულ საამიროებში (ქ. დუბაი). დარწმუნებულები ვართ, თუ კოვიდრეგულაციებმა ხელი არ შეუშალათ და გასტროლი შედგა, იქაც დიდი წარმატება ელით.

სოფ. ნაბახტევში, გზის სამუშაოების წარმოების დროს, აღმოჩნდა ორი მოზრდილი ქვევრი, რომლებიც გვიანდელი ფეოდალური ხანით თარიღდებიან. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის სამსახურის დახმარებით, ქვევრები გადმოტანილია ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ახალი საცავის ეზოში.

80 - ღვაწლმოსილი პედაგოგი - 80

მასწავლებელი ბავშვის სულის სუფთა დაფაზე წერს ცხოვრებისეულ მცნებებს. მთავარია, ცხოვრების რთულ გზაზე სასიკეთოდ გამოადგეს ადამიანს ბავშვობის პერიოდში მარცვალ- მარცვალ ჩადებული სიბრძნე და სიკეთე, რასაც პედაგოგი დიდი შრომითა და რუდუნებით აგვირისტებს. ასე იყო ჩვენს ბავშვობაში... წელს,

ივლისში ღვაწლმოსილ პედაგოგს, ქალბატონ ნანული ნოზაძე - ცუცქირიძეს 80 წელი შეუსრულდა. საიუბილეო თარიღი პანდემიის გამო, მოკრძალებულად აღნიშნა. ჩვენ, მისმა მოსწავლეებმა უდიდესი სიყვარულით მივულოცეთ დაბადების დღე. ჩვენი პირველი მასწავლებელი ადამიანის სიყვარულსა და პატრიოტიზმს გვასწავლიდა ყველა საგანზე უკეთ. ნანული ნოზაძე - ცუცქირიძე დაიბადა დაბა სურამში. სურამის მე- 2 საშუალო სკოლა წარჩინებით დაამთავრა და სკოლის პერიოდში მიღებული აქვს მრავალი ჯილდო და სიგელი. მოსწავლეთა შემოქმედებით რესპუბლიკურ მე-13 კონფერენციაზე დაჯილდოვდა უმაღლესი ჯილდოთი - ქიმიაში საუკეთესო ნაშრომის წარდგენისათვის. შემდეგ დაამთავრა ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის გორის პედაგოგიური ინსტიტუტი. წლების მანძილზე მუშაობდა სხვადასხვა სასწავლო - სააღმზრდელო დაწესებულებებში აღმზრდელ - მასწავლებლად. ხოლო 1976 წლიდან, 2010 წლის ჩათვლით, მუშაობდა სურამის პირველ საჯარო სკოლაში დაწყებითი კლასის მასწავლებლად. ამ პერიოდში,ორი ათეული წელი, ხელმძღვანლობდა სასკოლათაშორისო მეთოდგაერთიანებას. მიღებული აქვს უფროსი მასწავლებლის წოდება, უმაღლესი კატეგორია. განათლების სამინისტროს სიგელი სასწავლო - საადმზრდელო მუშაობაში მიღწეული წარმატებისათვის. მან უდიდესი სიყვარულითა და პროფესიონალიზმით აღზარდა მრავალი თაობა. და ახლაც მიაჩნია, რომ ყველაზე დიდი

ჯილდო მისი მოწაფეებისაგან გამოხატული სიყვარულია, და ის დიდი სითბო,ორი უმანკო,ფართოდ გახელილი,ციმციმა თვალებიდან რომ მოდის. კიდევ ერთხელ ვულოცავთ ჩვენი კლასის პირველ მასწავლებელს ამ საიუბილეო თარიღს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერებას მის არაჩვეულებრივ ოჯახთან, შვილებთან ერთად.

სურამის I საშუალო სკოლის 1984 წლის კურსდამთავრებულები

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე.
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.